

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელთა ტაქტიკური მომზადების ბრალდებით დაბა ურეკში 13 პირი დააკავა



ალიონი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამომძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით პოლიციელებზე თავდასხმის ფაქტზე, დაბა ურეკში 13 პირი დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინციდენტი დაბა ურეკში, 24 ივნისს, სასტუმრო „4 ვილაში“ მომხდარ ხანძარს უკავშირდება.

შსს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 24 ივნისს, ოზურგეთის რაიონული სამმართველოს ურეკის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით, გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის, დაბა ურეკში, 1988 წელს დაბადებული შ.ლ. დააკავეს და პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში გადაიყვანეს.

მოგვიანებით, პოლიციის შენობასთან შეიკრიბნენ დაკავებულის ნაცნობები, პოლიციის თანამშრომლებს თავს დაესხნენ და სიტყვიერი, ასევე, ფიზიკური შეურაცხყოფა

მიამყენეს. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩამდენი პირები ბრალდებულის სახით დააკავეს.

პოლიციელზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

მომხდარზე პარლამენტის პლენარურ სხდომაზე, ურეკში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრმა **ვანტანგ გომელაურმა** ისაუბრა. როგორც ვანტანგ გომელაურმა დაუბუტატა ანა ნაცვლიშვილის კითხვის საპასუხოდ განაცხადა, ინციდენტი ხანძრის ჩაქრობის შემდეგ მოხდა, როდესაც ნასვამმა მოქალაქემ მეხანძრეებს შეურაცხყოფა მიამყენა.

„ქალბატონო ანა, რაც ახსენეთ თქვენ, რომ ხანძარი

მოხდა, ეს მოხდა გუშინ ურეკში, ზუსტად 12 წუთში ადგილზე მუშაობდა 8 სახანძრო მანქანა, და არა ის, რომ მივიდნენ და წყალი არ ჰქონდათ.

უკვე ჩამქრალი იყო ხანძარი, მივიდა ნასვამი მოქალაქე, აყენებდა შეურაცხყოფას მეხანძრე-მაშველებს და მოხდა მისი დაკავება. გადაიყვანეს განყოფილებაში, მას შემდეგ მივიდნენ მისი მეზობლები, ზოგი ნასვამი იყო, ზოგი ფხიზელი, პოლიციელებს მიამყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შემდეგაც მოხდა მათი დაკავება. არა ის, რომ ხანძარზე მივიდნენ და წყალი არ ჰქონდათ, ეს არის ფაქტი“, – განმარტა ვანტანგ გომელაურმა.

ბიორგი სასოკია თანამდებობას ტოვებს



ალიონი. გასულ შაბათს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გურიის გუბერნატორი გიორგი სასოკია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თანამდებობიდან გადააყენა.

გუბერნატორის პრესსამსახურმა სოფო კაშიამ თავდაპირველად გვითხრა, რომ არ ჰქონდა მას შესაბამისი ინფორმაცია.

მოგვიანებით კაშია „ალიონის“ რედაქციას დაუკავშირდა და გვითხრა რომ გიორგი სასოკია სხვა სამსახურში გადადის, მაგრამ კონკრეტულად სად, ეს ორშაბათს პრემიერთან შეხვედრის შემდეგ გახდება ცნობილი.

კ ა ლ ი ო ნ ი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამომცემბა. № 19 (10389) 28 0360სი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

სოფელ ოზურგეთში ახალი ტაძარი აკურთხეს



ალიონი. 21 ივნისს, სოფელ ოზურგეთში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი აკურთხეს. საზეიმო წირვა-ლოცვა შემოქმედელმა მღვდელმთავარმა მუჟეჟი იოსებმა ჩაატარა. ტაძრის გახსნის ცერემონიაში სასულიერო პირები და ადგილობრივი მრევლი მონაწილეობდა.

— ძალიან დიდი საქმე გაკეთდა. ჩვენ შევქმელით 2,5 წელში ტაძრის აგება, რომლის ძირითადი დაფინანსება სოფლის მცხოვრებლების შემოწირულობები იყო. რა თქმა უნდა იყო სხვა თანადგომაც: არქიტექტორმა ზურაბ გუჯაბიძემ უფასოდ გადმოგვცა ეკლესიის პროექტი. საპატრიარქოსათვის მიწის გადაცემის საქმეში დავეხმარა ადგილობრივი მრევლი, ნინო თანდლიაშვილმა, ოზურგეთში გამართულ შეხვედრაზე, ადგილობრივ მოსახლეობას და სხვა დაინტერესებულ მხარეებს გურიაში ახალი ეროვნული პარკის დაარსებასთან დაკავშირებით მიმდინარე სამუშაოები გააცნო.

— გურიის ეროვნული პარკის დაარსების პროექტს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, დაცული ტერიტორიების სააგენტო და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF), შვედეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერითა და ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური ჩართულობით ახორციელებს. პროექტის საერთო ღირებულება 520 530 ევროს შეადგენს და მისი დასრულება 2023 წელს იგეგმება. ეროვნული პარკის გეგმარებითი ტერიტორია, დაახლოებით 30 000 ჰექტარს მოიცავს. გურიაში შენარჩუნებული უძველესი ტყეები და სავარგულები აღიარებულია ეკორეგიონის ბიომრავალფეროვნების ძირითად არეალად (KBA). ამგვაროვლად, ეს ლანდშაფტები „კავკასიის ეკორეგიონის კონსერვაციის გეგმის (ECP)“ ნაწილია, — განაცხადა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ((WWF) კავკასიის ოფისის დირექტორმა გიორგი სანაღი-

„გურიის ეროვნული პარკი გახდება ახალი მიწიდულობის ცენტრი“



ური ირემი, შველი, მურა დათვი, ფოცხვერი და სხვა, პოპულაციების ზრდის ხელშეწყობა, — აღნიშნა თავის გამოსვლაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიებისა და ტყის პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა პაპუნა კაპანაძემ.

— გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ერთი წლის წინ, დაიწყო აქტიური სამუშაოები გურიის რეგიონში ახალი დაცული ტერიტორიების შესაქმნელად. ვფიქრობთ, გურიის ეროვნული ური ჩართულობით ახორციელებს. პროექტის საერთო ღირებულება 520 530 ევროს შეადგენს და მისი დასრულება 2023 წელს იგეგმება. ეროვნული პარკის გეგმარებითი ტერიტორია, დაახლოებით 30 000 ჰექტარს მოიცავს. გურიაში შენარჩუნებული უძველესი ტყეები და სავარგულები აღიარებულია ეკორეგიონის ბიომრავალფეროვნების ძირითად არეალად (KBA). ამგვაროვლად, ეს ლანდშაფტები „კავკასიის ეკორეგიონის კონსერვაციის გეგმის (ECP)“ ნაწილია, — განაცხადა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ((WWF) კავკასიის ოფისის დირექტორმა გიორგი სანაღი-

ური ირემი, შველი, მურა დათვი, ფოცხვერი და სხვა, პოპულაციების ზრდის ხელშეწყობა, — აღნიშნა თავის გამოსვლაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიებისა და ტყის პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა პაპუნა კაპანაძემ.

— გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ერთი წლის წინ, დაიწყო აქტიური სამუშაოები გურიის რეგიონში ახალი დაცული ტერიტორიების შესაქმნელად. ვფიქრობთ, გურიის ეროვნული ური ჩართულობით ახორციელებს. პროექტის საერთო ღირებულება 520 530 ევროს შეადგენს და მისი დასრულება 2023 წელს იგეგმება. ეროვნული პარკის გეგმარებითი ტერიტორია, დაახლოებით 30 000 ჰექტარს მოიცავს. გურიაში შენარჩუნებული უძველესი ტყეები და სავარგულები აღიარებულია ეკორეგიონის ბიომრავალფეროვნების ძირითად არეალად (KBA). ამგვაროვლად, ეს ლანდშაფტები „კავკასიის ეკორეგიონის კონსერვაციის გეგმის (ECP)“ ნაწილია, — განაცხადა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ((WWF) კავკასიის ოფისის დირექტორმა გიორგი სანაღი-

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ.სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ.მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - განსვენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:**
 ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
 რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
 საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარმანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი აციონზე
 «ალიონი»

პროექტის „შავი ზღვის სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციის“ თემაზე



სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გურიის მხარეში **ქეთევან მოისწრაფეშვილი** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, **„Horizon 2020“**-ს მიერ დაფინანსებული პროექტის „საზღვაო კვლევების და ინოვაციების კოორდინირება შავ ზღვაზე - **Black Sea Connect**“ პრეზენტაციას დაესწრო. აღნიშნული პროექტი ეფუძნება შავი ზღვის აუზში კვლევისა და

„სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგი“-ს დოკუმენტის საფუძველზე და საქართველოს შესაბამისი ხედვის ფორმულირება. რწმუნებულის მოადგილემ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს პრიორიტეტების განსაზღვრაში მხარდაჭერა გამოუცხადა. დღის წესრიგის ფარგლებში იდენტიფიცირებულია 4 ძირითადი საფუძველი, რომელთა დაკავშირებითაც, შესაძლოა, შემუშავდეს მთელი რიგი კვლევითი და ინოვაციური ღონისძიებები: • შავი ზღვის ფუნდამენტური კვლევის გამოწვევებზე რეაგირება – „შავი ზღვის ცოდნის ხიდი“; • შავი ზღვის ლურჯი ზრდისთვის პროდუქტებისა და გადაწყვეტილებების შემუშავება და კლასტრების ჩამოყალიბება – „შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკა“; • კრიტიკული მხარდაჭერის სისტემებისა და ინოვაციური ინფრასტრუქტურების შექმნა – „ძირითადი ერთობლივი ინფრასტრუქტურა და პოლიტიკის ინსტრუმენტები“; • განათლება და შესაძლებლობების შექმნა – „გადამზადებული მოქალაქეები და გაძლიერებული სამუშაო ძალა“.

გაზეთი უფლებების კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა



პროექტის „შავი ზღვის უფლებათა კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა“ ფარგლებში დღეს სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გურიის მხარეში **ქეთევან მოისწრაფეშვილი** ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტებში შექმნილი ბავშვის სამსახურის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იქნა მიწოდებული. პროექტის მხარდამჭერები არიან: საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, UNICEF - გურიის ბავშვთა დაცვის კომიტეტი და დემოკრატიული განვითარების სააგენტო.

სოფლის მეურნეობა კვალიფიციური კადრების მოზარე დევიციტს განიცდის



სურნალ „აგარულ საქართველოში“ (№1 2021.) გამოქვეყნდა ინტერვიუ ახალგაზრდა სპეციალისტთან **ბექა ლიბარტელიანთან**, რომელიც საქართველოში აგრობიოლოგიური სპეციალობის წარმატებით გაგლის შემდეგ გაცვლითი პროგრამით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მინესოტას უნივერსიტეტში. ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით სამშობლოში დაბრუნდა იმედია დიდ დახმარებას გაუწევს აგარულ დარგს. როცა ამ ინტერვიუს ვკითხულობდი, ჩემი გამოცდილების ადამიანს უამრავი კითხვა მიჩნდებოდა, უპირველეს ყოვლისა ვერ ვგუებოდი იმ აზრს, როდესაც გასულ საუკუნეში საქართველოში გვექონდა უდიდესი აგარული სკოლა, მაგრამ დროთა განმავლობაში ხელისუფალთა არა ადეკვატური ქმედებით ყველაფერი დაიკარგა და განადგურდა. მიჩნდება კითხვა: ნუთუ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემას დღეს არ ძალუძს კვალიფიციური აგრონომ სპეციალისტების მოზარეობა?, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებითა და გამოყენებით სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყანას. მაგალითად ისეთი ახალგაზრდა ფერმერი როგორც **ნიკა გუნთაძე** რომელზედაც

ჩვენ კიდევ ადრე ვწერდით (აგარული საქართველო № 7, 2018.) დღეს ეს ახალგაზრდა დაამთავრა რა აგარული უნივერსიტეტის მაგისტრატურა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ლაბორატორიის უფროსი სპეციალისტი და მეცნიერებასა და წარმოებას წარმატებით ემსახურება.

ზოგადი ინფორმაციით ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში აგრონომიული მიმართულების ფაკულტეტებზე აბიტურიენტთა მიმართულებით ძალზე დაბალია, ამასთან ის ვინც მოხვდება ამ დარგებზე და შესაბამის დიპლომს მიიღებს იშვიათად თუ აგრძელებს მუშაობას ამ სფეროში. ისმის კითხვარატომ არ საქმედებიან ახალგაზრდა კადრები სოფლის მეურნეობაში? მაშინ როდესაც ქვეყანა ამ მიმართულებით სერიოზულ დეფიციტს განიცდის? დაკვირვებებმა ცხადფერს, რომ დაბალი ანაზღაურება, ნიადაგთან და მცენარესთან მუშაობის სირთულე, სოფლად ცხოვრების დაბალი ინტერესი და სხვა მიზეზები განაპირობებენ ახალგაზრდა სპეციალისტების ქალაქისკენ გადინებას. ამ პროცესის დარეგულირება და ახალგაზრდა კადრების სოფლად მიბრუნებას ვერ კიდევ დიდი ძალისხმევა ესაჭიროება. ეს პრობლემები შესაძლებელია მხოლოდ რეგიონალურ და სახელმწიფოებრივ ჯრილში გადაწყდეს. რეგიონებში სოფლად ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად უნდა მოწესრიგდეს. ახალგაზრდა სპეციალისტს უნდა გაუჩნდეს მოტივაცია სოფლად ცხოვრების და მუშაობის. წინააღმდეგ შემთხვევაში აგარული სპეციალისტის დიპლომის მიუხედავად, მოზარდი სხვა სამსახურით დასაქმდება. დაახლოებით სამოცი წელია პირადად სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და წარმოების დარგში ვმუშაობ. მოწმე ყოფილვარ ჩვენ თვალწინ როგორ ინგრეოდა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა. უკანასკნელ წლებში ბევრი სასიკეთო სახელმწიფო პროგრამა განხორციელ-

და ქვეყნის ხელისუფლების ხელშეწყობით: „დანერგე მომავალი“, „შეღავათიანი აგროკრედიტი“, „ჩაის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა“, „აგრო დაზღვევა“ და სხვები. და როდენ გასაკვირია, როდესაც კომპანიის ხელმძღვანელები ფიზიკური პირები, ცალკეული ბენეფიციარები, რომლებიც ამ პროგრამით სარგებლობენ და ხელმძღვანელობენ, მათი უმეტესობის სამოქალაქო პრიორიტეტზე მეტი არასპეციალისტია, მაშინ როდესაც იხარჯება სახელმწიფო სახსრები და ხშირად შედეგები ძალზე დაბალია. საბჭოთა პერიოდში დომინირებდა ლოზუნგი: „კადრები წვევებენ ყველაფერს“, დიას ეს ფორმულა დღესაც ძალაშია. თუ გვინდა ინტენსიური და მაღალანაზღაურებადი სოფლის მეურნეობა, ამ დარგს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ესაჭიროება. ამის რესურსი ქვეყანას გააჩნია. თუმცა საჭიროა ამ რესურსების სწორი, მიზნობრივი მართვა და გამოყენება. არადა რაც დრო გადის სოფლად აგარულ სექტორში უკვე აგრონომების, აგროქიმიკოსების, მედიკო-რატიონების, მექანიზატორების, მცენარეთა დამცველების (ენტომოლოგი, ფიტოპათოლოგი, ვირუსოლოგი) ვეტერინარების, ტექნოლოგების, მწვავე დეფიციტი შეინიშნება. აღარაფერს ვამბობთ სამეცნიერო კადრების მოზარეობაზე, რაც ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში დავიწყებას მივცა.

არსებული ინფორმაციით საქართველოს სოფლის განვითარების სააგენტოს სისტემაში, ცხრა რეგიონალური და 45 საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრები ფუნქციონირებენ, რომელთა მიზანია რეგიონში დაინტერესებულ ბენეფიციარებს მიაწოდონ ინფორმაცია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფოსა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ღონისძიებების შესახებ. რეგიონებში საექსტენციო მომსახურების გაუმჯობესე-

ბის მიზნით, ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნებოდა ამ სფეროში დასაქმებული ადამიანები უპირველეს ყოვლისა კარგად იცნობდნენ და აცნობიერებდნენ, სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების მიერ სუბტროპიკულ ზონაში დარგთა და კულტურათა შეთანაწყობის პრინციპებს, ამ მიმართულებით წლების მანძილზე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების ცოდნას და გასატარებელ ღონისძიებებს. ტრადიციული და ახალი კულტურების თვითნებური აღრევა, რომელიც საშუაროდ დღეს ამ ზონაში მიმდინარეობს პერსპექტივაში ბევრ დადებით შედეგებს ვერ მოგვითმანს. ამ სიძნელების დასაძლევად არსებობს კიდევ მეორე გზა: დღეს სოფლად დასაქმებული მეწარმეების მოზარდება-გადამზადების კურსების ამოქმედება. მიუხედავად პანდემიისა ეს ღონისძიება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში, ასევე სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურში- რომლებიც ტერიტორიულად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანასულის ტერიტორიაზე მდებარეობენ. აქ ბენეფიციარები თეორიულ საკითხებთან ერთად გაეცნობიან სუბტროპიკული კულტურების ახალ ჯიშებსა და ფორმებს, სანერგე მეურნეობას, ასევე ფართო ინფორმაციას მიიღებენ მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის საკითხებზე. კარგი იქნება თუ სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო გაითვალისწინებს ჩვენ წინადადებას და სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობაში დღეს დასაქმებული მეწარმეების მოზარდება გადაწყვეტს. საკითხს დადებითად გადაწყვეტს.

ზაურ ბაბრიჩიძე
 სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

„გურიის ეროვნული პარკი გახდება ახალი მიზიდულობის ცენტრი“



პარკი გახდება ახალი მიზიდულობის ცენტრი, ხელს შეუწყობს რეგიონულ განვითარებას და, რაც მთავარია, გურიის უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვას, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული პარკი დაეხმარება ადგილობრივ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი სარსებო წყაროებით ხშირ შემთხვევაში ბუნებრივ რესურსებზე არიან დამოკიდებული, განავითარონ შემოსავლების ალტერნატიული წყაროები, პირველ რიგში, გურიაში არსებული ტურისტული პოტენციალის გამოყენების გზით. ეს, თავის მხრივ, დადებითად იმოქმედებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. — განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდლიაშვილმა.

სემინარზე დაცული ტერიტორიების დაცვისა და განვითარების სამსახურის უფროსმა ნატა სულთ-

ანიშვილმა დაცული ტერიტორიის მიზნები და ამოცანები გააცნო საზოგადოებას, რაც გულისხმობდა დაცული ტერიტორიების დაცვა-განვითარებას; ბიომრავალფეროვნების დაცვას, მონიტორინგს, კონსერვაციას, აღდგენას; საზოგადოებასთან ურთიერთობას და გარემოსდაცვით განათლებას; სამეცნიერო კვლევების მონიტორინგს; ეკოტურიზმის განვითარებას; ტრადიციების შენარჩუნებას.

მოხსენების შემდეგ დისკუსიაში ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები ჩაერთვნენ. — ჩვენ, გარემოს დამცველები დღიდან ხანია ვიბრძვი „მწვანე გურიის“ სტატუსისათვის, მისი რეკრეაციული ტერიტორიების, ხეობებისა და ბიომრავალფეროვნების გადარჩენისთვის.

მევესალმებით და მხარს ვუჭერთ ამ საშვილიშვილო წამოწყებას.

გურია და კოლხეთის დაბლობი უნიკალურია თავისი რელიქტური სახეობებით, ბიომრავალფეროვნებით. ამას ყველაფერს მდინარეები ასაზრდოებს.

იმედი გვაქვს ეროვნული პარკი შეინარჩუნებს უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას, ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკის, ეკოტურიზმის განვითარებას და რეგიონის მოსახლეობის დასაქმებას.

ეს არის მისაღები განვითარება და არა ჰესები, რომელთაც სარგებელი მხოლოდ ინვესტორისთვის მოაქვს და ეკოსისტემას ანადგურებენ.

ამის მაგალითია ის, რომ „ბაზვი 1 ჰესი“ ბახმაროს რეკრეაციულ ზონაში უნდა აიგოს. მდინარე ბაზვისწყალზე 3 ჰესის იქნება. ჰესები არ ტოვებენ წყლის მარაგს. მდინარის წყლის მარაგის 90 პროცენტი 14 კილომეტრზე დერეფაციულ მილში მოექცევა. ანალოგიური მდგომარეობა იქნება მდინარე ნატანების ხეობაში, სადაც „ნატანები 3“ გზმ განხილვა დასრულდა და კიდევ 2 ჰესის აგებას აპირებენ.

იმედია ჩვენი ძალისხმევა არ ჩავლის უკვალოდ და შევარჩევთ ჰესების მშენებლობას მომავალ დაცულ ტერიტორიებზე — აღნიშნა გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე ირმა გორდელაძემ.

გორდელაძეს გიორგი სანადირაძემ უპასუხა, რომ „ბაზვი 1 ჰესი“ პროექტი არ ხვდება რეკრეაციულ ზონაში, ჰესის პროექტის განხილვა საწყის ეტაპზეა.

გაზეთ „ალიონის“ რედაქტორის ნუგზარ ასათიანის კითხვაზე, თუ როგორ აპირებენ ტრადიციების შენარჩუნებას მთაში, როცა მდინარე ბაზვისწყლის ხეობიდან დაწყებული, ვიდრე მდინარე ბუჟის სათავემდე ასეულობით ფერმერი ადის ზაფხულობით თავიანთ სააგარაკო საცხოვრისში, აჰყავთ რამდენიმე ათასი სული პირუტყვი, რომლებიც ძოვს მთის ფერდობებზე, მოსახლეობა ეწვევა სასოფლო სამუშაოებს, მოჰყავთ კარტოფილი და ა.შ. გათბობისათვის სჭირდებათ შუშა. რა ბედი ელის მათ?

— ტრადიციული გამოყენების ზონა, რომელიც არის ტყის მიმდებარე ტერიტორიები, სათიბების, საძოვრების, წყლის რესურსების გამოყენება მწყემსებს არ შეეზღუდებათ. ჩვენ შევხდებით ადგილობრივ ფერმერებს, გავაცნობთ მათ რა მთხივნობის ისახავს პარკის თუ აკვეთილის შექმნა. პროექტში ასე პროცენტით მათზეა აქცენტი. მაგალითად, თუ მთაში მიწის გასაფორმებლად ფერმერმა ელექტრონულ აუქციონში მიიღოს მონაწილეობა, ამ შემთხვევაში მიწის გაფორმების საკითხი მარტივდება. მათ არ მოუწევთ ელექტრონული აუქციონში მონაწილეობა. ბუნებრივია შევისწავლით საძოვრების შესაძლებლობებს, რათა არ მოხდეს გადაძოვება. აქაურ ფერმერებს გამოეყოფათ საკმარისი რაოდენობის საშუალებები — უპასუხა გაზეთ „ალიონს“ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისის დირექტორმა გიორგი

სანადირაძემ.

თუ რა შეზღუდვები ექნებათ ტყისპირა სოფლებს, გამოეყოფენ თუ არა მათ საშუალება მერქანს, როგორ იქნება დაცული სოფლის მოსახლეობის ინტერესები იმ ტყისპირა მიწებზე, რომლებიც მოსახლეობას ელექტრონულად არ დაურეგისტრირებიათ და მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტები აქვთ — ამ კითხვებით მიმართეს მათ სოფელ ოზურგეთის მერის წარმომადგენლებმა სოფელ მთისპირში, ვაკიჯვარში, ლიხაურში მია ჩავლეიშვილმა, გიორგი მდინარაძემ, ვანო ვაშაყმაძემ.

შეხვედრის ორგანიზატორების თქმით, მოსახლეობის ინტერესი არ დაზარალდება, მერქნის რესურსის მოხმარება არ იზღუდება. ეს არ შეეხება ნადირობას, აქ მოთხოვნები კიდევ უფრო გამკაცრდება.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გურიის მხარეში ქეთევან მისწრაფეშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდლიაშვილი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს უფროსის მოადგილე თომა დეკანოიძე, გურიის ეროვნული პარკის დაარსების პროექტის კოორდინატორი გიორგი ცინცაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კუჭავა, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელი პირები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, ყურნალისტები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დასრულდა

ალიონი. 18 ივნისს დასრულდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი საბავშვო ბაღებში. თუ რა ხდებოდა სასწავლო წლის განმავლობაში, როგორ იცავდნენ ბავშვთა აღსაზრდელებს პანდემიისაგან, გაზეთ „ალიონს“ ესაუბრა ოზურგეთის ბაღების გაერთიანების უფროსი მკაცრია:

— პანდემიის გამო საბავშვო ბაღებში შეჩერებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი 2021 წლის 20 იანვარს განახლდა. სულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაღებში სასწავლო წელს დარეგისტრირებული იყო 2446 აღსაზრდელო.

— როგორი იყო საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების დასწრების მაჩვენებელი?

— სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განახლებიდან ბაღებში თავდაპირველად გამოცხადდა აღსაზრდელების 30%-ზე მეტი, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ ბავშვთა გამოცხადება გაიზარდა და იგი შეადგენდა 50-60% -ს.

პანდემიიდან გამომდინარე გამოუცხადებლობის გამო, არ ვრიცხავდით ბავშვებიდან აღსაზრდელებს, რადგანაც მშობლებისთვის ნებაყოფლობითი იყო ბავშვების ბაღებში მოყვანის პროცესი.

— როგორ იცავდით საბავშვო ბაღებს ვირუსის მოსალოდნელი გაფრთხილებით?

— ბაღებში სრულად იყო დაცული რეკომენდაციები, ხდებოდა ბავშვთა თერმოსკრინინგი, ხელეების ანტისეპტიკური ხსნარით დამუშავება, ბაღებში განთავსებული იყო ანტისეპტიკური ხსნარები, დეზობარიერები, გამოყოფილი იყო საიზოლაციო ოთახი, სადაც სიცხის მიცემის შემთხვევაში გადაყავდათ



აღსაზრდელები. თუმცა ასეთი შემთხვევა იშვიათი იყო ბაღებში.

საბავშვო ბაღებში ისე დასრულდა სასწავლო - სააღმზრდელო პროცესი რომ არ მომხდარა არცერთი ბავშვის დაინფიცირება.

თუმცა იყო შემთხვევა, სადაც რამდენიმე ბავშვი დაინფიცირდა ბავშვის რამდენიმე თანამშრომელი. ბავშვი დაიხურა ორი კვირით, მაგრამ არცერთ ბავშვს არ მომხდარა ვირუსის შემდგომო გავრცელება.

ბაღებში 2 კვირაში ერთხელ ტარდებოდა ყველა თანამშრომლის საველდებო ტესტირება კოვიდზე.

გამოსაშვები ზომებიც საბავშვო ბაღებში განსხვავებულად და მოკრძალებულად ჩატარდა, პანდემიის გამო დრო იყო შეზღუდული — 10-15 წუთი, აქტივობა უნდა ჩატარებულიყო ღია სივრცეში, სადაც უცხო პირთა დასწრება აკრძალული იყო.

ეკოკავშირის მხარდაჭერილი საქართველო კლიმატისათვის „იმოქმედე კლიმატისათვის“

ეკოკავშირის მხარდაჭერილი საქართველო კლიმატის პროგრამის ფარგლებში CENN პროექტის პარტნიორ ორგანიზაციებთან - კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი (KRDF), ჭიათურელთა კავშირი (ACU), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის განვითარების ასოციაცია (RLS-ADA) და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი (YPU) - ერთად 2021 წლის ეკოკავშირის მწვანე კვირულს შეუერთდა და ამ ღონისძიებას მასშტაბური კამპანიის „იმოქმედე კლიმატისთვის“ ორგანიზებით აღნიშნავს. კამპანიის მიზანია საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში, ცოდნის აძლეს კლიმატის ცვლილებაზე და მისი ნეგატიური შედეგების შერბილების მარტივ გზებზე, ყოველდღიურ ქმედებებზე, რომლებიც დაგვეხმარება შევამციროთ კლიმატის ცვლილება.

კამპანიის შეუერთდნენ სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი სახოკია, ეკოკავშირის დევეგაცია საქართველოში, ადგილობრივი და რეგიონული მთავრობისა და პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მაღლობა გვინდა გადავუხადოთ თითოეული ბავშვი ყველა თანამშრომელს დაუღალავი შრომისთვის, პასუხისმგებლობის მაღალი გრძობისთვის, სიყვარულისთვის, ზრუნვისთვის, ასევე მაღლობა ყველა მშობელს თანამშრომლობისთვის, ნდობისთვის, მაღლიერებისთვის.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალი სასწავლო-სააღმზრდელო წელი უფრო უსაფრთხო საინტერესო, სახალისო და ნაყოფიერი იქნება.

კამპანიის მიზანია ახალგაზრდებსა და მოზრდილებში ცოდნის აძლეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ჩვენი ყოველდღიური ქმედებების გავლენა კლიმატის ცვლილებაზე, შესაბამისად, პლანეტის და საკუთარ კეთილდღეობაზე. აღნიშნული კამპანია გაზრდის საზოგადოების ცნობიერებას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მიზნებზე კლიმატის ცვლილება-ასთან დაკავშირებულ საკითხებში.

CENN-მა 2021 წლის იანვრიდან, ეკოკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო ახალი ინიციატივა საქართველოს კლიმატის პროგრამა (GEO-CAP): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

CENN საქართველოს კლიმატის პროგრამას მომდევნო 4 წლის განმავლობაში, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად 4 სამიზნე რეგიონში (გურია, იმერეთ, რაჭა-ლეჩხუმი და კახეთი) ადამიანის უფლებებზე დამყარებული მიდგომით, განახორციელებს.



ოზურგეთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გუნდი ჩემპიონობას უმეზნებს



ალიონი. . ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს შორის სამეგრელოს ზონის გათამაშება ერთ-ერთ პრესტიჟულ ტურნირად იქცა...

ურგეთელი ნორჩი ფეხბურთელები ლიდერობენ (6 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება). ლიდერს 2-2 ქულით ჩამორჩებიან ფოთისა და სამტრედიის გუნდები.

გონა ავსაჯანიშვილის შერჩევითი საშუაობის შედეგად, სკოლის დირექციის გადაწყვეტილებით, ოზურგეთელი ბექა გოგოლაური სწორედ ამ სკოლაში განაგრძობს წვრთნას...

ბით, გვინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ გონა კრასოტკინსა და მის კოლეგებს ჩვენს ბავშვებზე ესოდენ გამორჩეული ზრუნვისთვის.

იუბილარი

ქალბატონო ელიკო!

მინდა სიყვარულით და მოკრძალებით მოგეახლოთ, მოგილოცოთ საჩინო თარიღის შვიდი ათეული წლის წარმატებით გასრულებას. ნიჭიერი, პროფესიონალი, ზნეკეთილი და გამორჩეული – თავდადებული შრომით ალამაზებით თქვენი აღსაზრდელების ყოფას, თქვენ ზომ მათ სულიერ საზრდოს აწვდით, ადამიანურ ურთიერთობებს ასწავლით.



სამართლმოს აქლამობთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფაკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია

მონაწილეთა ერთობლივი „მრავალშემიერთი“ ბასრულგული ფესტივალი



ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრსა და შეკვეთილში სამ დღეს 25-26-27 ივნისს მიმდინარეობდა ფესტივალი „მომავლის ხმები-2021“.

20 მასწავლებელი და 32 მშობელი მონაწილეობდა. „მომავლის ხმები“ მონაწილეთა ერთობლივი მრავალშემიერთი გასრულდა.

ოთხმოცი წლის წინათ



გურულ მამამულიშვილთა საბრძოლო ისტორიები შორეული წარსულიდან იწყება. ისტორიამ შემოგვინახა მათი სახელები, გენრლები: გურიელები, ლუმახელები, ნაკაშიძეები და მრავალი სხვა.

დმა ბასიანი) ბრძოლაში. „და მოკლეს მე გურიელისა ქაისოსრო“ (ქართლის ცხოვრება ტ.I გვ.499).

ობლოს“ ყოფილი საბჭოთა კავშირის უკიდვანო სივრცეზე არ ყოფილა ფრონტის ისეთი უბნები და მოქმედი ჯარების ისეთი სახეობა, სადაც სხვა ხალხთან მხარდაშარ თავი არ ესასელებინოს ქართველებს, მათ შორის ოზურგეთელებს.

რახმით მტრის მიელი ათასეული შეფარეთ. მტერმა ასალი ძალები მოიშველია, მე კი ხუთი წითელი არმიელით ვიყავი გამაგრებული, ფამისტები 40 მტრზე მოუფუთო, მერე „ბლინდაყვიდან“ ამოუვლით და ხელყუმბარები დავაყარეთ.

იმსხვერპლა ჩვენი მამაცი მეთაური“. ბრძოლაში თავდადებული მოქმედებისა და გამოჩენილი მამაცობისათვის სიკვდილის შემდეგ ვიქტორ ლესელიძეს გონის წოდება მიენიჭა.

ვლო სტალინგრადისა და როსტოვის ოლქები, საუწყროა და ევატორია. შემდეგ დაინიშნა მე-2 არმიის სარდალად. მისი ხელმძღვანელობით გადაწყვეტილი ბრძოლები მიმდინარეობდა კენიგსბერგის აღებისათვის.

თეატრი - ბავშვობის უთავიჭდილებიდან საიუბილეო დიზაინამდე



ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა იმ ქალაქის სახე და სავიზიტო ბარათია, რომელშიც დავიბადე და გავიზარდე.

ფონდი „ქართუს“ დახმარებით, თეატრი 2021 წელს სრულიად რეაბილიტირებული შეხვდა. როგორც თეატრის სამხარტვრო

ვასილ ჩიგოვიძე ამბობს, „გურიას და ქართულ თეატრს ლამაზი სიზმარი აუხდა“.

შენობა, რომლის რეაბილიტაციაშიც ამდენი წელი და რესურსი გაიხარჯა, **1961 წელსაა აშენებული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსითაც სარგებლობს.**

სიმბოლო აღმოჩნდა მის საიუბილეო აქტივობაზე სამუშაოდ. იუბილისთვის შექმნილი ვიზუალური იდენტობა ლოგიკურად პასუხობს თეატრის განახლების პროცესს.

გარდა იმისა, რომ თეატრი ტერიტორიულად ახლოა ჩემს სახლთან, მის სცენაზე გამოსვლაც მოვასწარი ჯერ კიდევ ბავშვობაში. 7-8 წლისა პირველ ხმას ვასრულებდი მიხეილ შავიშვილის ფოლკლორულ ანსამბლში.

სწორედ ბავშვობაში მიღებული ემოციების ანარეკლია ყველა ის მუხტი და უინი, რომელიც ამდენი წლის შემდეგ ისევ აინთო და მოსვენებას არ მძღვეს.

მსგავს თემაზე მუშაობის მხნეობას მიმატებს ისიც, რომ 1988 წელს თეატრისთვის დამზადდა საიუბილეო სამახსოვრო მედალი, რომელსაც დღეს უკვე მისივე მუზეუმი ინახავს

სხვადასხვა სიმბოლოზე მუშაობისას ხშირად მაქვს შინაგანი განწყობა ამბიგრამული სიმბოლოს შექმნის (გამოსახულება, რომელიც სხვადასხვა მხრიდან ერთნაირად იკითხება) და ამის რამდენიმე მაგალითიც მაქვს, მათ შორის „vegan“ - ლოგოტიპი ვეგანური მარკეტისთვის

ხელწერა, ჩვევა თუ სტილი, რომელიც პროფესიონალი არტისტის ნამუშევრებში შეიძლება ამოვიკითხოთ, ხშირად ქვეცნობიერში დაღეპილიდანაა ნასაზრდოები. სწორად ამ შთოვნებას მიჰყვება ხოლმე გონება შემოქმედებით პროცესში. **როგორც იქნა მივაგანი საწყის წერტილს, საიდანაც ჩემი ამბიგრამებით აღფრთოვანება დაიწყო: თეატრის შესასვლელში მისი აშენების თარიღი 1961 ზუსტად ამბიგრამის სახითაა დატანილი**

სულ რამდენიმე წლის ვიყავი, მიჭირს გავიხსენო რა ღონისძიება იყო, მახსოვს მშობლებმა მიმიყვანეს და მაშინ ვნახე პირველად. ქვეცნობიერში

წლების წინ აღბეჭდილი „კოდის“ აღმოჩენის გარდა, ისიც მხიბლავს, თუ როგორ შემოქმედებითად მიუდგა ავტორი აღნიშნულ თარიღს: იგი ისეა დატანილი შენობის შესასვლელში, რომ სტუმარს თეატრიდან გამოსვლისასაც სრულფასოვნად ახსენებს თავს. უფლება არ მქონდა, სხვისი ეს ნაფიქრი დამეიგნორებინა, მეც ხო „ორივე მხრიდან“ მაქვს თეატრი ნანახი

გარდა პასუხისმგებლობისა, ნებისმიერ პროექტზე მუშაობისას უამრავი მასალის გაცნობა, ინფორმაციის აგროვება, სკეტჩები და ვერსიებია საჭირო. მშვენიერი სიმბოლოა ისიც, რომ სწორედ 1961 წელს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიხეილ შავიშვილსაც, რომელიც ჩემი საწყისი ლინკია შემოქმედებით გურიასთან. **1961 წლის საკრალურობა განუყოფელი და ორგანულია როგორც თვით თეატრისთვის, ისე ჩემი შემოქმედებისთვის**

შედეგად შეიქმნა სიმბოლო, რომელშიც გაერთიანებულია:

- ტრაგედიისა და კომედიის ნიღბები;
- შენობის აშენების თარიღი 1961 (შენარჩუნებულია ამბიგრამის პრინციპი);
- სასცენო ფარდები.

პრაქტიკულად, ესაა ვიზუალი, რომელშიც გურული ლაკონიურობით, მინიმალისტურადაა თავმოყრილი თეატრის იდენტობისთვის განუყოფელი სიმბოლოები. გამოსახულება, რომელიც მზადაა საიუბილეო წლის განმავლობაში (და მის შემდეგ-ომაც) ხელი შეუწყოს ოზურგეთის თეატრის პოზიციონირებასა და პოპულარიზაციას შიდა და საერთაშორისო ასპარეზზე.

ირაკლი დოლიძე,
სარეკლამო სააგენტო **idolize**-ის დამფუძნებელი **idolize.ge**



კულისებში მოშვირდლ ფოტოკამერაზე რეაქციით: მაგის დროია ახლა?!



1988 წლის საიუბილეო მედალი

7 დღის ამინდის პროგნოზი

<p>მზე, ღრუბაქლი- +19+25</p> <p>28 ივნისი ორშაბათი</p>	<p>მზე, ღრუბაქლი- +19+25</p> <p>29 ივნისი სამშაბათი</p>	<p>წვიმა +19+25</p> <p>30 ივნისი ოთხშაბათი</p>	<p>წვიმა +16+24</p> <p>1 ივლისი ხუთშაბათი</p>	<p>წვიმა +18+24</p> <p>2 ივლისი პარასკევი</p>	<p>წვიმა +18+26</p> <p>3 ივლისი შაბათი</p>	<p>მზე +17+26</p> <p>4 ივლისი კვირა</p>
--	---	--	---	---	--	---